მოწყობილობა განკუთვნილია წყლის გასაცხელებლად.

უსაფრთხოების ზომები

- წყლის გამაცხელებლის (ბოილერის) დამონტაჟებამდე დარწმუნდით, რომ ელექტրոროზეტი საიმედოდ არის **დამიწებული**. როზეტის ნომინალური დენი არ უნდა იყოს ნაკლები გამაცხელებლის მიერ მოთხოვნილ სიმძლავრეზე. ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, როზეტი და ჩანგალი უნდა იმყოფებოდეს მშრალ ადგილას. რეგულარულად შეამოწმეთ ჩანგლისა და როზეტის კონტაქტი შემდეგნაირად: შეაერთეთ ჩანგალი როზეტში, ნახევარი საათის შემდეგ გამორთეთ მოწყობილობა და გამოიღეთ ჩანგალი, შეამოწმეთ, ხომ არ არის ჩანგლის კონტაქტები გახურებული. თუ კონტაქტები ცხელია (50 °C-ზე მეტი), აუცილებელია სხვა როზეტის გამოყენება, რათა თავიდან აიცილოთ ჩანგლის დაზიანება, ხანძარი ან ცუდი კონტაქტით გამოწვეული სხვა უბედური შემთხვევები.
- **არ გამოიყენოთ დამაგრძელებლები.** ელექტრო გამაცხელებლის არასწორმა მონტაჟმა და გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ტრავმები და ქონების დაზიანება.
- არ დაუშვათ წყლის შხეფების მოხვედრა ელექტრոროზეტზე.
- ელექტրոროზეტი უნდა მდებარეობდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
- მოცემული წყლის გამაცხელებელი განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის.
- **დამცავი სარქველი** (კლაპანი) უძლებს 0,7 მპა-მდე წნევას. წნევის დამგდები სარქველი უნდა დამონტაჟდეს გამაცხელებლისგან მოშორებით.
- დამცავი სარქველი რეგულარულად უნდა შემოწმდეს და გაიწმინდოს კალციუმის კარბონატისგან (ნადებისგან), რათა დარწმუნდეთ, რომ იგი არ არის დაბლოკილი. **შემოწმების წესი:** მოხსენით ჭანჭიკი სახელურზე, ასწიეთ დამცავი სარქვლის სახელური, შემდეგ მოაბრუნეთ განივი მიმართულებით, რათა შეამოწმოთ, მოედინება თუ არა წყალი სანიაღვრე მილიდან. თუ ფუნქცია გამართულად მუშაობს, წყალი გადმოვა. თუ წყლის გამოსასვლელი დაბლოკილია, გთხოვთ, შეწყვიტოთ გამოყენება და დაუყოვნებლივ მიმართოთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს. შემოწმების შემდეგ აუცილებელია მოქმედებების საპირისპირო თანმიმდევრობით შესრულება.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.
- არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის ან მისი დამოუკიდებლად გამოყენების უფლება.
- არაფერი დაადოთ მოწყობილობას ზემოდან.
- წყლის გაცხელებისას მრავალფუნქციური სარქველების გამოსასვლელ ხვრელებზე შესაძლოა გაჩნდეს წყლის წვეთები. ეს ნორმალური მოვლენაა. წყლის მნიშვნელოვანი გაჟონვის შემთხვევაში აუცილებელია მიმართოთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს შესაკეთებლად. წნევის დამგდები ხვრელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დახშული, წინააღმდეგ შემთხვევაში წყლის გამაცხელებელი შესაძლოა დაზიანდეს.
- დრენაჟის მილი, რომელიც უერთდება წნევის დამგდებ ხვრელს, უნდა მდებარეობდეს ქვევით დახრილ მდგომარეობაში. დრენაჟის მილი იყიდება ცალკე.
- თუ წყლის ტემპერატურამ გამაცხელებელში 78°C-ს მიაღწია, მოერიდეთ ცხელ წყალთან პირდაპირ კონტაქტს. დაარეგულირეთ წყლის ტემპერატურა დამწვრობის თავიდან ასაცილებლად.
- ექსპლუატაციის დროს უჩვეულო ხმაურის, სუნის, ბოლის, მაღალი ტემპერატურის ან გაჟონვის წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მისი გამოყენება, გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან და მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს. მოწყობილობის ექსპლუატაციამ ზემოაღნიშნული ნიშნების არსებობისას შესაძლოა გამოიწვიოს ელექტროშოკი ან ხანძარი.
- წყლის გამაცხელებლის ნაწილებისა და კომპონენტების დაზიანების შემთხვევაში, შესაკეთებლად მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.